


რას ნიშნავს საკმარისად გადაუმუშავებელი ან სპეციფიკურად დაუმუშავებელი?

დამატებითი დიხებულების წესი

პროდუქტის შემადგენლობაში გამოყენებული, **მესამე ქვეყნაბი წარმოშობილი**, მასალის ღირებულება არ სცდება მისი ფრანკო-ქარხნის (EXW) ღირებულების კონკრეტულ პროცენტულ ნიშნულს.




საგაჩიფო კოდის ცვლილების წესი

მესამე ქვეყნაბი წარმოშობილი იმპორტირებული პროდუქტი იმდენად არის გადაუმუშავებელი საქართველოში რომ მას ენიჭება ახალი **სატარიფო კოდი** რომელიც განსხვავდება წედლეულის კოდისგან პირველ 4-ნიშნა დონეზე.

სპეციფიკური დამუშავების წესი

მესამე ქვეყნაბი წარმოშობილი იმპორტირებული პროდუქტი დამუშავებულია კონკრეტული მითითებული მეთოდით.



მსგავსი ფასნარმოქმნის ქალი აკმაყოფილებს პრეფერენციულ წარმოშობას მიუხედავად იმისა, რომ იმპორტირებული ნაწილების ღირებულება სცდება EU-ს მიერ დაშვებულ 50%-იან ზღვარს, რადგან თურქეთი **პარტნიორი ქვეყანაა**.

რა არის სატარიფო კოდი?


ვაჭრობისთვის განკუთვნილ საქონელს მინიჭებული აქვს საერთაშორისოდ ჰარმონიზებული 6-ნიშნა **სატარიფო კოდი** რომელსაც მეტაჟები იყენებენ ბაჟის დასადგენად (HS Code).

სატარიფო კოდები იყოფა 99 ჯგუფად და აერთიანებს 5300-მდე პროდუქტს.

იგივეა, რაც: სასაქონლო კოდი, საბაჟო კოდი, სასაქონლო ნომენკლატურა.



- 22-00-00**
ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი
- 22-04-00**
ყურძნის ნატურალური ღვინოები
- 22-04-21**
ყურძნის ძვრილა ღვინოები



რას ნიშნავს მესამე ქვეყნაბი წარმოშობილი?

საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის შემთხვევაში, მესამე ქვეყნებთან ჩაითვლება ის სახელმწიფოები რომლებთანაც საქართველოს არ გააჩნია სპეციალური შეთანხმება მათ ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქტის ევროკავშირში უბაჟოდ გატანისთვის. ეს არის ყველა, გარდა შემდეგი **პარტნიორი სახელმწიფოებისა**:

- ევროკავშირის წევრი ქვეყნები
- EFTA ქვეყნები: შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი
- თურქეთის რესპუბლიკა
- უკრაინა

შესაბამისად, თუ საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქტში გამოყენებულია ზემოთ ჩამოთვლილ პარტნიორ ქვეყნებში წარმოშობილი წედლეული, აღარ დგება სპეციალური გადაუმუშავება-დამუშავების საჭიროება (არსებობს გამონაკლისები).

როგორ გავიგო აკმაყოფილებს თუ არა ჩემი პროდუქტი პრაქტიკულ წარმოშობას ევროკავშირისთვის?

- დაადგინე საექსპორტო პროდუქტის სატარიფო კოდი 6-ნიშნა დონეზე
- გაარკვე იხებრება თუ არა ამ პროდუქტის იმპორტი ევროკავშირში
- თუ იხებრება, შეადარე, რა შედეგით სარგებლობს საქართველო სხვა იმპორტიორებისგან განსხვავებით
- თუ შედეგით მომხიბვლეულია, დაადგინე რომელი წარმოშობის წეს(ებ)ი ეხება შენს პროდუქტს
- თუ ეჭვი გეპარება, რომ შენი პროდუქტი აკმაყოფილებს პრეფერენციული წარმოშობის წესებს, მიმართე შემოსავლების სამსახურს გადასამოწმებლად
- თუ დარწმუნდი, რომ შენი პროდუქტი აკმაყოფილებს პრეფერენციული წარმოშობის წესებს, შეავსე წარმოშობის დეკლარაცია ან მოითხოვე EUR.1 სერტიფიკატი



დაასკანერე QR კოდი და იხილე სასარგებლო ონლაინ რესურსების სია ან კუპლიკასიაში მოცემული რჩევების განახორციელებადად

ვისურვებ წარმატებულ ექსპორტს!